

## სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

### პრეამბულა

- 1.წინამდებარე წესით განისაზღვრება სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისის“ (შემდგომში „კოლეჯი“) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები, ამოცანები და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
2. ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის მიზანია კოლეჯის შესაძლებლობების გაზრდა თანამედროვე უნარების მქონე, ჩართული, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანამშრომლებით უზრუნველყოფის გზით.

### მუხლი 1. ადამიანური რესურსი, მისი მართვა

- 1.ადამიანური რესურსი წარმოადგენს კოლეჯში დასაქმებულ პირთა ერთობლიობას, ადამიანებს, რომლებიც ინდივიდუალურად ან/და ჯგუფურად მუშაობენ კოლეჯის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისათვის.
- 2.თითოეულ დასაქმებულში გაერთიანებულია მისი ცოდნა, უნარები, გამოცდილება, შესაძლებლობები, პიროვნული თვისებები, ინტერესები, მიზნები, მისწრაფებები და ა.შ. ადამიანური რესურსების მართვა თავის მხრივ გულისხმობს თითოეულ დასაქმებულში არსებული რესურსის წარმართვას და მის გამოყენებას კოლეჯის მიზნებისათვის.
3. ადამიანური რესურსების სწორი მართვა უზრუნველყოფს იმგვარი გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა კოლეჯის წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროცესში.

### მუხლი 2. ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები

#### 1.ადამიანური რესურსების მართვის მიზანია:

- ა) კოლეჯის შესაბამისი კომპეტენტური და მოტივირებული პერსონალით უზრუნველყოფა;
- ბ) დასაქმებულ პირთა გუნდური, ერთობლივი და წარმატებული მუშაობის ხელშეწყობა;
- გ) დასაქმების გამჭირვალე პროცედურები, სამართლიანი და ეფექტური დასაქმების პოლიტიკა;
- დ) თანამშრომელთა პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ხელშეწყობა;
- ე) თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგი, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სამართლიანი შეფასება და წახალისების ფორმების გამოყენება.

#### 2. ადამიანური რესურსების მართვის ამოცანაა:

- ა) სამუშაო ადგილების შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალით დაკომპლექტება;
- ბ) თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე ზრუნვა;
- გ) თანამშრომლებთან ურთიერთობისას შრომის კანონმდებლობის დაცვა;
- დ) შრომის შინაანაწესის შესრულებისა და შრომის დისციპლინის დაცვის კონტროლი.
- ე) თითოეული საშტატო (შტატგარეშე) თანამდებობისათვის განსაზღვრული სამუშაო აღწერილობების შეძლებისდაგვარად დეტალური გაწერა;

3. ადამიანური რესურსების მართვას ახორციელებს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ ადმინისტრაცია.

### მუხლი 3. ორგანიზაციული სტრუქტურა

- 1.სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ მართვის ორგანოებს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორი და კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭო (საბჭოს არჩევის შემდეგ).
2. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ სამტატო განრიგი ითვალისწინებს 105 (ასხუთი) სამტატო ერთეულს, მათ შორის პედაგოგის 66 (სამოცდაექვსი) სამტატო ერთეულს.
3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“-ს საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დამატებით აყვანილ იქნას შტატგარეშე თანამშრომლებიც.

#### **მუხლი 4. კოლეჯის ადამიანური რესურსის შერჩევა**

- 1.სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირების წესს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 17 ივნისის N70/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ წესდება.
2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.
3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ დირექტორი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს. დასაქმების მსურველთა შერჩევისას კანდიდატთან გასაუბრებასთან ერთად, კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გამოყენებული იქნას კონკურსით შერჩევის წესიც.
4. კანდიდატთა კონკურსის წესით შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კოლეჯი იხელმძღვანელებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.
5. დასაქმების მსურველის პირის სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, ხოლო კონკურსის შემთხვევაში სამისოდ შექმნილი საკონკურსო კომისია.
6. დასაქმების მსურველი პირის სამსახურში აყვანა ფორმდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულებით ან/და კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
7. პროფესიული განათლების პედაგოგთა შერჩევისას დგინდება მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.
8. კოლეჯის ადამიანური რესურსების შერჩევის მიზანია მოხდეს თანამედროვე უნარების მქონე, ჩართული, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანამშრომლებით დაკომპლექტება.